ფოთის საკათედრო ტაძარი

ფოთის საკათედრო ტაძარს საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. ტაძრის არქიტექტურა ბიზანტიურ სტილს მიეკუთვნება და გამოირჩევა თავისი ორიგინალური კონსტრუქციითა და ისტორიით.

1895 წლის 17 ივნისს რუსეთის იმპერატორმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ნება დართო, შექმნილიყო ფოთის საკათედრო ტაძრის მშენებლობის განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ნიკო ნიკოლაძეს, რომელსაც განუზრახავს ქართული არქიტექტურული სტილის ტაძრის აგება, სათანადო პროექტიც შექმნილა, მაგრამ როგორც ირკვევა იგი რუსულმა მმართველობამ დაიწუნა, შემდგომ კი
არქიტექტორების ზელენკოსა და მარფელდის მიერ შემუშავებულ იქნა ახალი პროექტი კონსტანტინეპოლში არსებული წმ. სოფიას ტაძრის მიხედვით. იგი წარმოადგენდა თითქმის მის ზუსტ ასლს, შემცირებული მასშტაბით. ტაძარი 2000 მლოცველზე იყო გათვალისწინებული.

1906 წლის 14 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) ტაძრის საძირკველი საზეიმო ვითარებაში აკურთხა.

1907 წლის 22 მაისს, ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღუმართავთ. მისი მშენებლობა მიმდინარეობდა რვა თვის განმავლობაში – საკათედრო ტაძარს სამი ტრაპეზი ჰქონია, კანკელის ხატების ავტორია რუსეთის საიმპერატორო აკადემიის მხატვარი დუმიტრაშკო, რომელიც დასრულებულია 1908 წელს. კანკელის ჩრდილოეთის მხარის ხატები შესრულებული იყო ბერძნულ-ბიზანტიურ, სამხრეთი –ქართულ-ბიზანტიურ, ხოლო საშუალო რუსულ-ბიზანტიურ სტილში. ამ ხატებს შორის ორი წმ. ნინოსი და წმ. მეფე დავით აღმაშენებლისა იყო. 1932 წელს ქალაქ ფოთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ საკათედრო ტაძრის თეატრად გადაკეთების გადაწყვეტილება მიიღო. დროთა განმავლობაში რამდენიმეჯერ მოხდა შენობის რეკონსტრუქცია რის შედეგადაც მისი იერსახე საკმაოდ შეილახა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკლესიასა და თეატრის დასს შორის დავა დიდ ხანს გრძელდებოდა, საბოლოოდ კი ფოთის საკრებულოს გადაწყვეტილებით შენობა ეკლესიას გადასცეს.

2005 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტაძრის გასაღები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს გადასცა.

რეკონსტრუკციის შედეგად შენობას დაუბრუნეს თავდაპირველი იერსახე.როგორც თავიდან იყო ჩაფიქრებული,შენობა უნდა ყოფილიყო აია სოფიას დაპატარავებულ ასლი.რათქმაუნდა,ფოთის ტაძარი ზუსტად ვერ იმეორებს აია სოფიას ტაძარს,

მარგამ ანალოგიები მაინც მაინც აშქარად ჩანს. ფოთის ტაძარი გეგმაში ზუსტად იმეორებს აია სოფიას გეგმას, 3 ნავიანი ბაზილიკაა. გუმბათი ეყრდნობა შიდა სივრცეში განლაგებულ კოლონებზე . ორივე ტაძარს აქვს შედარებით მაღალი ცოკოლი. ფოთის ტაძრის გარშემო აშენებულია გალავანი,რომელიც არ გვხვდება აია სოფიაში. მის ცენტრალური თაღოვანი შესასვლელი იმეორებს მთლიანი ანსამბლის მოტივებს.

ტაძრის ფასადი თეთრი ფერისაა,ლაკონური,სადა და დახვეწილი.მთავარ შესასვლელში გვხდება წმინდანების რამდენიმე რელიეფი და 8 კოლონის შორის განლაგებული 3 მოჭუქურთმებული კარი.კარების ზემოთ ღვთისშობლის ,ანგელოზის და წმინდა გიორგის გამოსახულებებია.

ინტერიერში ფოთის ტაძარი განსხვავდება აია სოფიასგან.როგორც ვიცით,ქართულ არქიტექტურაში გარეთა ფასადებს უფრო აქცევდნენ ყურადღებას ვიდრე ინტერიერს, ბიზანტიურ სტილში კი შიდა ინტერიერი რაც უფრო მეტად გაფორმებული უნდა ყოფილიყო. ფოთის ტაძარი შიგნითაც თეთრი ფერისაა,რაც სივრცეს უფრო ნათელს ქმნის. გუმბათში 21 სარკმელია,რაც სინათლის მთავარი წყაროა. აღმოსავლეთ აბსიდებში კიდევ 22 სარკმელია,სხვადასხვა სიმაღლეებზეა განლაგებული,რაც მეორდება აია სოფიაში,ბერძნულ ტაძარში სარკმელები უფრო პატარაა,რის გამოც შიდა სივრცე ბნელია.

მთავარი დეკორატიული ელემენტი ორივე ტაძრში –კოლონებია ,ორ სართულიან გალერეის გარშემო განლაგებული. ფოთის კოლონები ბერძნული და ბიზანტიური სტილებისაა, პირველი სართულის კოლონები ბიზანტიური სტილისაა, მცენარეული ორნამენტით, ხოლო მეორე სართულის – იონური ორდერებია. ფოთის ტაძარში კოლონები და იატაკი აშენებულია ერთი მასალით, მონარინჯისფრო გრანიტით. აია სოფიაში შავი და მწვანე გრანიტია გამოყენებული.

შესასვლელი,როგორც ყველა ქართულ ტაძარში დასავლეთით და ჩრდილოეთითაა. აღმოსავლეთ მხარეს საკურთხეველია და 3 აბსიდი.დანარჩენ სივრცეს სწორი ოთხკუთხედის ფორმა აქვს.

გარეთ ეზოში ჩრდილოეთ – აღმოსავლეთ მხარეს აშენებულია აუზი ,შადრევანი. მსგავსი ნაგებობაც აია სოფიაში გვხდება, თუმცა განსხვავებული ფორმა აქვს. მას მარტო დეკორატიული ფუნქცია აქვს.

როგორც ირქვევა აია სოფია გახდა პროტოტიპი არა მარტო ფოთის ტაძრისთვის. ბელგრადში ფოთის ტაძართან პარალელურად აშენდა მსგავსი საკათედრო ტაძარი, რომელიც გეგმაში ზუსტად იმეორებს მისი ანალოგის ფორმას და წარმოადგენს არქიტექტურის მრავალფეროვან სინთეზს.